<u>საქართველო -ევროკავშირის მეცამეტე დიალოგი ადამიანის უფლებების საკითხებში</u>

2 ივლისი 2020, ონლაინ რეჟიმში

საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ და საქართველოს მხრიდან დელეგაციის ხელმძღვანელმა ვახტანგ მახარობლიშვილმა გახსნა რიგით მეცამეტე საქართველო-ვროკავშირის დიალოგი ადამიანის უფლებების საკითხებში. ევროკავშირის მხრიდან დიალოგს ხელმძღვანელობდა რიჩარდ ტიბელს, ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურის აღმოსავლეთ პარტნიორობის ორმხირივი ურთიერთობების განყოფილების უფროსი.

განხილული იქნა შემდეგი მთავარი/მნიშვნელოვანი საკითხები:

<u>დიალოგის გახსნის ნაწილში</u> ევროკავშირის მხარემ აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებები ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობის ეპიცენტრშია. ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა იქნება ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობა, თუ გვაქვს ამბიცია აღმოსავლეთ პარტნიორობა 2020 წლის შემდგომ ახალ ეტაპებზე იქნას გადაყვანილი.

<u>საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით</u> ევროკავშირის მხარემ ხაზი გაუსვა, რომ უზომოდ დადებითი წინგადადგმული ნაბიჯია. საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საკონსტიტუციო რეფორმა იყო ყველაზე დიდი რეფორმა 1990-იანების შემდეგ, ამჟამინდელი საკანონმდებლო ცვლილებებით საარჩევნო სისტემა შემდეგი სახის იქნება: პარლამენტის 120 წევრი პარტიის სიით, 30 წევრი მაჟორიტარული სიით. წარსულში 77 და 73 იყო დანაწილების პრინციპი. კონსტიტუციამ ასევე განსაზღვრა არჩევნების თარიღი - ოქტომბრის ბოლო შაბათი. მომავალი არჩევნების ბარიერი არის 1% - შესაბამისად, რომელი პარტიაც გადალახავს 1%-ს შეუძლია ყავდეს წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში.

<u>პანდემიასთან ბრძოლის შესახებ</u> ევროკავშირის მხარემ აღნიშნა, რომ საქართველოს შეყვანა 14+1 ქვეყანათა სიაში ევროკავშირის მიერ ხაზს უსვამს, რომ საქართველო ძალიან ეფექტურად და სრული სერიოზულობით შეებრძოლა პანდემიას. კოვიდ-19-ის პერიოდში ადამიანის უფლებების ჯეროვანი დაცვა გამოწვევა იყო ევროკავშირისთვის, ვინაიდან საფრთხე შეექმნა სიცოცხლის უფლებას და სხვა უფლებებს. ქართული მხარის განმარტებით, ზომები, რომელიც მიღებული იქნა იყო პროპორციული, საჭირო, ანტიდისკრიმინაციული, კონკრეტული და დროებითი საჭიროებისამებრ. შეზღუდვები დაწესებული იქნა მხოლოდ კანონმდებლობით ნებადართულ ფარგლებში. უწყებათაშორის საბჭო შეიქმნა პანდემიის ადრეულ ეტაპზე, რომელიც აწვდიდა ინფორმაციას საზოგადოებას და მედიას, სადაც ყველას თანაბრად ქონდა წვდომა. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლის განმარტებით, პანდემიის პერიოდში პირველივე დღეებიდან საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და პრეზიდენტმა გამოთქვეს დახმარების მზადყოფნა, რომ უყურადღებოდ არავინ დარჩენილიყო ოკუპირებულ ტერიტორიებში. საქართველოს დაავადებათა კონტროლის ცენტრი მართავდა ონლაინ კონსულტაციებს ექიმებთან ოკუპირებულ ტერიტორიებში გამოცდილების გაზიარების მიზნით. აფხაზეთმა ისარგებლა საქართველოს მთავრობის დახმარებით, 800-ზე მეტმა ოჯახმა, რომლებიც გამყოფ ხაზთან ცხოვრობენ მიიღეს სახელმწიფო დახმარება. დახმარება აღმოეჩინა აფხაზ სტუდენტებს, ვინც ვერ დაბრუნდნენ აფხაზეთში გამშვები პუნქტების ჩაკეტვის გამო - შეიქმნა სპეციალური პროგრამა, რომ უზრუნველყოფილიყო მათი საცხოვრებელი და საკვები. რუხის საავადმყოფომ, რომელიც შეიქმნა რათა ოკუპირებული ტერიტორიებიდან მიეღო პაციენტები, მომსახურება გაუწია დაახლოებით 250 ადამიანს მარტის თვიდან.

<u>მედიის თავისუფლების სფეროში</u> ქართული მხარის მიერ აღინიშნა, რომ სახეზეა მნიშვნელოვანი სიახლეები - მნიშვნელოვნად გაიზარდა სატელევიზიო მაუწყებელთა რიცხვი. საქართველო წინ მიიწევს საერთაშორისო რანგირების მხრივ მედიისა და პრესის თავისუფლების სფეროში. მაგალითად, “Freedom House”-ის ინფორმაციით საქართველო მსოფლიოს საუკეთესო ქვეყნების ათეულშია. ევროკავშირის მხარე დაინტერესდა მედია საშუალებების მეპატრონეების მიმართ

მიმდინარე გამოძიების საკითხით, ასევე აღნიშნა, რომ მედიის გამჭვირვალეობა უნდა იქნას უზრუნველყოფილი, როგორც მფლობელობასთან დაკავშირებით, ასევე დაფინანსებასთან. დეზინფორმაციის შესახებ, ასევე დაინტერესდა ევროკავშირის მხარე რა ზომები მიიღება, რომ დეზინფორმაცია თავიდან იქნას აცილებული.

ადამიანის უფლებები ოკუპირებულ ტერიტორიებში და იძულებით გადადგილებულ პირთა უფლებები. ქართულმა მხარემ ხაზი გაუსვა, რომ მდგომარეობა უარესდება ოკუპირებულ ტერიტორიებში და აღსანიშნავია, რომ პანდემიის პერიოდშიც რუსეთი და დე-ფაქტო ოკუპაციული რეჟიმი განაგრძობდნენ ახალ ბორდერიზაციას, გასვლითი ფუნქტების დაკეტვას და ჰიბრიდულ ომს პროპაგანდის მეშვეობით. ხაზი გაესვა, რომ ერთ-ერთი მთავარი პრობლემა არის გარემოება, რომ საერთაშორისო დამკვირვებლები არ იმყოფებიან ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ვინც ადამიანის უფლებების არსებული მდგომარეობის მონიტორინგს შეძლებდნენ. დაახლოებით 14 სოფელში იქნა გავლებული მავთულხლართები, რამაც დამატებითი პრობლემები შეუქმნა მშვიდობიან მოსახლეობას, ვინაიდან დაკარგეს წვდომა საკუთარ სახლ-კარზე და სოფლის მეურნეობის მიწებზე. ეთნიკურად ქართველი ჯუმბერ მელაძე გარდაიცვალა, რადგან საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებმა არ დაუშვებს სასწრაფო დახმარების მანქანას გადაეკვეთა საოკუპაციო ხაზი, მსგავსი 14 შემთხვევა ფიქსირდება 2019 წლის სექტემბრიდან. გრძელდება ადამიანის უფლებების დარღვევები - სიცოცხლის უფლება, თავისუფლების უფლება - კვლავ პრობლემატურია გატაცებების და დაკავების შემთხვევები, წამება და არაადამიანური მოპყრობა, განათლების უფლება - შეზღუდვებია მშობლიურ ენაზე განათლების მიღებაზე. საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ აღნიშნა ეთნიკური ქართველების მკვლელობის ფაქტები საოკუპაციო ძალების მიერ - ოთხოზორია, ტატუნაშვილი, ბაშარული, კვარაცხელია და ფაქტი, რომ ადამიანები, ვინც ჩაიდინეს დანაშაული კვლავ თავისუფალი არიან. ეთნიკური ქართველები თავს უცხოელებად გრძნობენ ოკუპირებულ ტერიტორიებში, იმ შემთხვევაშიც თუ იძლებით შეიცვლიან გვარს, მათი უფლებრივი მდგომარეობა არ უმჯობესდება. ეთნიკური წმენდა ქართველების მიმართ გრძელდება. ქართული მხარის მხრიდან იძულებით გადადგილებულ პირებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ საცხოვრებელი სივრცე გადაეცა 2000 ოჯახს გასული წლიდან. მშვიდობის ინიციატივას „ნაბიჯი უკეთესი მომავლისათვის“ ესაჭიროება დამატებით საერთაშორისო მხარდაჭერა, რათა იმპლემენტაცია განხორციელდეს, ვინაიდან ინიციატივამ დიდი დაინტერესება გამოიწვია ოკუპირებულ ტერიტორიებში.

ევროკავშირის სანქციების რეჟიმთან დაკავშირებით ადამიანის უფლებების სფეროში ქართულმა მხარემ აღნიშნა, რომ ძალიან ყურადღებით ადევნებს თვალს აღნიშნულ საკითხს და იმედია საქართველოც განხილული იქნება. ევროკავშირის მხარემ აღნიშნა, რომ დისკუსიები მიმდინარეობს ევროკავშირის საბჭოში, ჯერ არ არის ცნობილი შედეგები. სანქციების რეჟიმი ამჟამად მოითხოვს გადაწყვეტილებისას ერთსულოვნებას ევროკავშირის წევრი ქვეყნებისგან. FAC-ზე მწვანე შუქი მიეცა საკითხზე ტექნიკურ მუშაობას, რაც ამჟამად მიმდინარეობის პროცესშია.

ადამიანის უფლებათა უწყებათაშორის საბჭოს შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა მიმოიხილა საბჭოს განახლებული სტრუქტურა, აღინიშნა, რომ ცვლილებების შედეგად საბჭოს თავმჯდომარეობს პრემიერ-მინისტრი და პასუხისმგებელია ქვეყანაში ადამიანის უფლებების სფეროში გატარებული სამუშაოს კოორდინაციაზე. სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა საბჭოში გაძლიერდა: სამოქალაქო საზოგადოების 6 წევრის რიცხვი გაიზარდა 12 წევრამდე. ამავდროულად შექმნილია საკონსულტაციო ფუნქციის მქონე ორგანო, რომელშიც მონაწილეობენ ყველა არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც სურთ მთავრობასთან თანამშრომლობა. 2020 წელს საბჭოს აქვს 4 მთავარი პრიორიტეტი: 1. გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებების მდგომარეობის გაუმჯობესება. 2. ბავშვთა უფლებათა დაცვა, მათ შორის ბავშვთა ინტერესების დაცვა სისხლის სამართლის საქმეების საგამოძიებო პროცესში. 3. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა (შშმპ) უფლებების დაცვა, რომლისთვისაც ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ეროვნულ მექანიზმზე, რომელიც კოორდინაციას გაუწევს სახელმწიფო უწყებებს. შშმპ

უფლებების დაცვა პანდემიის პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო და მიმდინარეობს მუშაობა CRPD პროტოკოლის რატიფიკაციის საკითხზე. 4. დისკრიმინაციის აკრძალვა ყველა მიმართულებით - ძალადობის აღმოფხვრა დისკრიმინაციის საფუძველზე და საკანონმდებლო ნორმების გაუმჯობესება, მოსახლეობაში ცნობადობის ამაღლება ტოლერანტობის გაძლიერების და საპასუხო მექანიზმების მეშვეობით. ევროკავშირის მხარე მიესალმა ადამინის უფლებათა საბჭოს ახალი სტრუქტურას და სამოქალაქო საზოგადოების უფრო აქტიურ ჩართულობას.

შსს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტთან დაკავშირებით ევროკავშირის მხარემ განსაკუთრებულად ხაზი გაუსვა დეპარტამენტის შედეგიან საქმიანობას. შსს წარმომადგენლის განმარტებით, უწყებას შემუშავებული აქვს გეგმა ადამიანის უფლებების დაცვის გაუმჯობესების შესახებ და გამოძიების ხარისხის დახვეწის მიზნით. დეპარტამენტის დახმარება გაეწია 1000-ამდე ადამიანს. მიზანია შეიცვალოს პოლიციის დამოკიდებულება ადამიანის უფლებების მიმართ და შედეგებიც სახეზეა, ვინაიდან გასულ წელს არსებული პრობლემები თითქმის სრულად იქნა აღმოფხვრილი 2020 წლის მდგომარეობით.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს, რომელიც დაარსდა გასულ წელს დაეთმო მნიშვნელოვანი ყურადღება. სამსახურის წარმომადგენლის განმარტებით 2019 წლის ნოემბრიდან სამსახურის საგამოძიებო უფლებამოსილება ოპერაციული გახდა და 1700 საჩივარი იქნა მიღებული, ხოო გამოძიება დაიწყო 200 საქმეში.

საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საარჩევნო რეფორმას საფუძვლად უდევს 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას ODHIR-ის საბოლოო ანგარიშში ჩამოთვლილი რეკომენდაციები. სამუშაო ჯგუფი შეიქმნა ყველა პოლიტიკური პარტიის, საკონსტიტუციო ორგანოების, დიპლომატიური კორპუსის, სამოქალაქო საზოგადოების და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან დაკომპლექტებული. 2019 წლის ივლისიდან მრავალი საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა. სამუშაო ჯგუფი შედგებოდა 75 წევრისგან. მთავარი საკითხები - საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობა, მედია კამპანია და უფასო საეთერო დრო, ადმინისტრაციული რესურსის არასწორად გამოყენების პრევენცია, არჩევნების მეორე რაუნდის წესები, ამომრჩეველთა მოსყიდვის პრევენცია, გენდერული კვოტა, დავების მოგვარების მექანიზმები, ისევე როგორც კოვიდ-19-თან დაკავშირებული სპეციალური ზომები. სულ იყო ODHIR-ის 27 რეკომენდაცია და გათვალისწინებული იქნა სრულად ან ნაწილობრივ 25 რეკომენდაცია. ევროკავშირის მხარე მიესალმა, რომ რელევანტური უწყებები სერიოზულად ეკიდებიან ODHIR-ის რეკომენდაციებს და აქტიურად მუშაობენ მათ გასათვალისწინებლად. იმედი გამოთქვა, რომ საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებები კარგ ბაზისს შექმნის ეფექტური საპარლამენტო არჩევნებისთვის ოქტომბერში. დადებითად აღნიშნა მხარემ, რომ კოვიდ-19 გათვალისწინებულია საარჩევნო პროცესის დაგეგმარებისას, ვინაიდან ბალანსია საჭირო უსაფრთხო არჩევნებსა და მაქსიმალურად ნორმალური ხმისმიცემის პროცედურის შესანარჩუნებლად, მიღებული ზომები უნდა იყოს საჯაროდ მისაღები და გამართლებული.

უმცირესობებთან დაკავშირებით - ქართული მხარის განმარტებით უმცირესობებთან დაკავშირებით სახეზეა კონკრეტული, დადებითი და ხელშესახები შედეგები. წარმატებით მიმდინარეობს ქართული ენის შემსწავლელი პროგრამები. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს რეგულარულად მიეწოდებათ ინფორმაცია სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების შესახებ, მათი ლიდერები ჩართული არიან ადგილობრივ საბჭოებში. უმაღლესი განათლების სასწავლებლებში ჩართულ ადამიანთა რიცხვი 2010 წლიდან 6-ჯერ გაიზარდა. კოვიდ-19-ის პანდემიის დაწყებიდან პირველივე დღეებში ეთნიკურ უმცირესობებს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოთ, მთავრობამ მიიღო საჭირო ზომები, მათ შორის ცნობადობის ამაღლება და ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველყოფა. ნახევარი მილიონი მასალა დაიბეჭდა უმცირესობათა ენებზე, ხოლო ონლაინ სწავლება ხორციელდებოდა ციფრული სწავლის პლატფორმების

მეშვეობით. უმცირესობათა წარმომადგენლებმა გამოავლინეს მაღალი დონის სამოქალაქო პასუხისმგებლობა და დღესასწაულები აღნიშნეს კოვიდ-19-ის რეგულაციების დაცვით. განათლების სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამჟამად არის 207 სკოლა ეროვნული უმცირესობებისთვის და 80-ზე მეტ სკოლაში ასევე არის დამატებით უმცირესობების ენები. ევროკავშირი მიესალმა საქართველოს ძალისხმევას, რომ განათლება უზრუნველყოფილი იქნას ქართულ ენაზე უმცირესობებისთვის, ისევე როგორც მათ ენებზე. აღნიშნა, რომ ეფექტიანი იყო ინფორმაციის მიწოდება უმცირესობებისთვის. ევროკავშირმა მოუწოდა დამატებით განხორციელდეს უმცირესობების ინტეგრაცია, გააუმჯობესდეს სახელმძღვანელოები, გაფართოვდეს ქართული ენის სწავლების მასშტაბები.

ანტიდისკრიმინაციასთან ბრძოლის პროცესში შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით 2019 წელს 190 ადამიანს წაეყენა ბრალი დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშულისთვის, რაც გაზრდილია წინა წლებთან შედარებით - 2017 წელს 44 ადამიანი, ხოლო 2018 წელს 51 იყო ბრალდებული. შსს ადამიანის უფლებათა დეპარტამენტმა გასულ წელს 700-ამდე საქმის მონიტორინგი განახორციელა საქართველოს მასშტაბით, გაზრდილი ოდენობით 2018 წელთან, როდესაც 350 საქმის მონიტორინგი განხორციელდა. საქართველოს პროკურატურის განმარტებით სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე 2019 წელს 250 შემთხვევაში დაიწყო გამოძიება, ხოლო ბრალი წაეყენა 183 პირს, მათ შორის 32 ადამიანს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისთვის LGBTI თემის წინააღმდეგ. პროკურატურის 154 თანამშრომლისთვის ჩატარდა ტრეინინგები სიძულვილით მოტივირებული დანაშაულთან ეფექტური ბრძოლისთვის. პრემიერ-მინისტრის მრჩევლის განმარტებით, LGBTI თემისთვის კოვიდ-19-ის პანდემიის პერიოდში უზრუნველყოფილი იყო მათი წვდომა ძირითად საჭიროებებზე, გამოცემული იქნა მთავრობის განცხადება ჰომოფობიის წინააღმდეგ საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით და ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა LGBTI თემის წარმომადგენლებისთვის ეფექტურ საპასუხო მექანიზმზე. ევროკავშირის მხარემ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია საქართველოს შექება ანტიდისკრიმინაციის სფეროში ცნობადობის ამაღლების სფეროში, ძალოვანი ორგანოების მიერ გატარებული სამუშაო და განსაკუთრებით გამოვარჩევთ შსს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტს, რომელიც ძალიან კარგ საქმეს აკეთებს ბევრი ადამიანისთვის.

გენდერული თანასწორობა - პრემიერის-მინისტრის მრჩევლის განმარტებით სქესობრივი შევიწროვების შესახებ კანონმდებლობა მიღებული იქნა გასულ წელს, ხოლო ამჟამად ვითარდება სახელმწიფო მექანიზმი. ბავშვთა ქორწინება რჩება გამოწვევად და შესაბამისად სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია ხორციელდება, სადაც სოციალური ჩვეულებებთან და სტერეოტიპებთან ბრძოლა უმნიშვნელოვანესი საკითხია. ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა რჩება ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად. ქალთა ეკონომიკური გაძლიერება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, სადაც არაერთი ასპექტია მნიშვნელოვანი: ანაზღაურების გენდერული სხვაობა, ქალებისთვის ხელმისაწვდომი პროგრამების იმპლემენტაცია. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განმარტებით ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა შემაკავებელი ორდერების ოდენობა, ასევე დაწყებული გამოძიების საქმეები. შემაკავებელი ორდერების დარღვევის მაჩვენებელიც შემცირდა. ლოქდაუნის პერიოდში ოჯახური ძალადობის გაზრდის რისკი იყო, მაგრამ კომუნიკაციის ეფექტურმა სტრატეგიამ მოახერხა ცნობადობის ამაღლება სმს-ით, კამპანიით, როგორც ცხელი ხაზები, ასევე ჩატები იყო ხელმისაწვდომი პოტენციურ მსხვერპლთათვის. მონაცემთა ანალიზით დასტურდება, რომ ოჯახური ძალადობა მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. 2020 წლის იანვარში, თებერვალში და მარტში მაჩვენებელი იყო უფრო დაბალი ვიდრე 2019 წელს იგივე თვეებში, აპრილის თვის მაჩვენებელი კი იგივე იყო, რაც 2019 წელს, შესაბამისად მატება არ ფიქსირდება.

ბავშვთა უფლებები - საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელმა ისაუბრა ბავშვთა უფლებათა კოდექსზე, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო და ითვალისწინებს ბავშვთა დაცვის კომპლექსურ პროგრამას. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლის განმარტებით,

ვინაიდან აქტიურად გამოიყენება არასრულწლოვნების მიმართ განრიდება და მედიაცია, 2019 წლის მონაცემები ადასტურებს, რომ მხოლოდ 10 არასრულწლოვანი იქნა განთავსებული სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, 2010 წელს ეს რიცხვი 46-ს შეადგენდა. ქართული მხარის მიერ აღინიშნა, რომ ბავშვთა სიღარიბის შემცირება ერთ-ერთი უმთავრეს პრიორიტეტია, შესაბამისად 2019 წლიდან ბავშვებისთვის დახმარების პაკეტი გაზრდილი იქნა. სახალხო დამცველის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კოდექსი რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო კარგი წინგადადგმული ნაბიჯია. ევროკავშირის მხარემ აღნიშნა, რომ მიესალმება ბავშვთა კოდექსის მიღებას და ელის იმპლემენტაციას, ამავდროულად მოუწოდა ქართულ მხარეს გაგრძელდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის იმპლემენტაცია, განრიდებისა და მედიაციის გამოყენება და ძალისხმევის მობილიზება ამ მიმართულებით.

შრომის უფლებები - საქართველოს პარლამენტის განმარტებით, შრომის კოდექსის ცვლილებების პაკეტი სათავეს ღებულობს ასოცირების შეთანხმებიდან, ასახავს ევროკავშირის არაერთ დირექტივას, ისევე როგორც მსოფლიო შრომის ორგანიზაციის რეკომენდაციებს. შრომის სამინისტროს წარმომადგენლის განმარტებით, 2020 წელს შრომის ინსპექტორის ბიუჯეტი თითქმის გაორმაგდა და იანვარში მთავრობამ გადაწყვიტა ინსპექტორთა რიცხვი გაეზარდა 40-დან 100-ამდე, მსოფლიო შრომის ორგანიზაციის სტანდარტის შესაბამისად. შრომის უსაფრთოხების კანონის მიღების შემდგომ, 558 კომპანია იქნა ინსპექტირებული 2019 წელს, 29 შემთხვევაში სამუშაო პროცესი შეჩერდა სტანდარტების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის გამო, 127-მა კომპანიამ შეასრულა რეკომენდაციები და 202 დაჯარიმდა. ევროკავშირის მხარემ აღნიშნა, რომ ძალიან საინტერესო სიახლეებია შრომის უფლებებთან დაკავშირებით საქართველოში, მიესალმება ინსპექტორთა რიცხვის 100-ამდე გაზრდა და სასიხარულოა, რომ ცვლილებები ასახავს ევროკავშირის არაერთ დირექტივას.

არაჰუმანური მოპყრობის აღმოფხვრა - ევროკავშირის მხარემ აღნიშნა პროგრესი, რომელიც არაჰუმანური მოპყრობის პრევენციისა და წამების აღკვეთის მიზნით იქნა მიღწეული. იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლის განმარტებით, არაჰუმანური მოპყრობის შესახებ არსებობს ორ წლიანი გეგმა 2019-2020, რომელიც შეიმუშავა უწყებათაშორის სამუშაო ჯგუფმა, სამოქალაქო საზოგადოებისა და სახალხო დამცველის აქტიური ჩათულობით. ამჟამად სრულდება ანგარიშის მომზადება სამოქმედო გეგმაზე, CPT-ს რეკომენდაციები მიღებული იქნა მხედველობაში. ახალი სამოქმედო გეგმით 2021-2022 გათვალისწინებულია 4 მთავარი მიმართულება და განვითარდება რიგი მექანიზმები არაჰუმანური მოპყრობის წინააღმდეგ. სახალხო დამცველის წარმომადგენლის განმარტებით, 2019 წელს წამება და არაჰუმანური მოპყრობა არ იყო განსაკუთრებული პრობლემა ქვეყანაში.

შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება - ევროკავშირი მიესალმა საქართველოში არსებულ პატივისცემას შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლების მიმართ და აღნიშნა ჩივილები 2019 წელს საგამოძიებო ორგანოების მიერ 20 ივნისს დემონსტრაციებისას გადამეტებული ძალის გამოყენების საკითხზე, დაინტერესდა თუ რა ეტაპზეა გამოძიება. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით, 2019 წელს 17 მაისს ჰომოფობიის საერთაშორისო დღის აღმნიშვნელი შეკრება/მანიფესტაცია არ განხორციელდა, თუმცა შსს-მ განმარტა, რომ უზრუნველყოფდა გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობას თემისთვის. 2019 წლის თებერვალში „თბილისი პრაიდ“ კვირა იქნა გამოცხადებული LGBTI თემის მიერ, რომელმაც მოსახლეობაში პროტესტი გამოიწვია. შერჩეული იქნა რიგი მდებარეობები ერთი კვირის მანძილზე ღონისძიებისთვის ორგანიზატორების მიერ. ჩვენ მათ შევთავაზეთ ალტერნატივა, სადაც შევძლებდით მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, თუმცა მათ უარი თქვეს. ივნისის თვეში ჩატარებული დემონსტრაციების დროს LGBTI თემის მიერ ასევე იყო კონტრ-აქცია პარალელურად. თბილისი პრაიდი გადაიდო, ვინაიდან საპროტესტო აქციები მიმდინარეობდა პარალელურ რეჟიმში. პროკურატურის წარმომადგენლის განმარტებით 20 ივნისის მოვლენების გარშემო დაწყებულ გამოძიებებსთან დაკავშირებით 1000-ზე მეტი საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა, 7050

ადამიანი დაიკითხა, 350-ზე მეტი კრიმინალისტიკური გამოკვლევა ჩატარდა. შედეგად 8 ადამიანს მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი, 3 პოლიციელი მიეცა პასუხისგებაში ძალაუფლების გადამეტებისთვის. სახალხო დამცველის განმარტებით, 2019 წელს შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლება განსაკუთრებით სენსიტიური საკითხი იყო. ჰომოფობიური ჯგუფები მართავენ დემონსტრაციებს შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების ბოროტად გამოყენებით, ვინაიდან მათი ძალადობრივი ქმედებები არ არის კონსტიტუციით დაცული.

შეზღუდული შესაძლებლობების პირთა უფლებები - ევროკავშირის მხარის განმარტებით, საკანონმდებლო აქტის პროექტი, რომელიც ამჟამად საქართველოს პარლამენტშია წინ გადადგმული ნაბიჯია და იმედი გამოითქვა, რომ დროულად იქნება მიღებული. პრემიერ-მინისტრის მრჩევლის განმარტებით, ამჟამად მიმდინარეობს ეროვნული კოორდინაციის მექანიზმზე მუშაობა. შშმ პირთა ინკლუზიურობა მთავარი პრიორიტეტია და არა მხოლოდ აქტიური პირების, არამედ ასევე მათი, ვინც არ აქტიურობს საზოგადოებაში. სახალხო დამცველის წარმომადგენელმა ისაუბრა არსებულ გამოწვევებზე და აღნიშნა, რომ 2020 წლის ივნისში ცვლილებები კანონში ფსიქიატრიული მზრუნველობის შესახებ დადებითი სიახლეა.

ადამიანის უფლებების ახალი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის სამზადისი, პრიორიტეტები და ამჟამინდელი მდგომარეობა - პრემიერ-მინისტრის მრჩევლის განმარტებით, ადამიანის უფლებების ახალი სტრატეგია მნიშვნელოვანია, ვინაიდან ადგენს სტანდარტს შემდეგი 10 წლისთვის ადამიანის უფლებების სფეროში. მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს განმარტებით, 2020 წლის თებერვალში პრემიერ-მინისტრმა საჯაროდ განაცხადა ახალ დოკუმენტზე მუშაობის პროცესის შესახებბ, შეიქმნა უწყებათაშორის ჯგუფი, აქტიურად იქნენ ჩართული საერთაშორისო ექსპერტები - ბოლო 3 წლის საქართველოს სახალხო დამცველის და ეროვნული პრევენციის მექანიზმის ანგარიშები დეტალურად იქნა გააანალიზებული, შემუშავებული იქნა კითხვარი სამოქალაქო საზოგადოებისგან იდეების მისაღებად და სხვადასხვა ორგანიზაციებიდან, ჩართული ასევე არიან ადგილობრივი ექსპერტები და საქართველოს სახალხო დამცველი. მიმდინარეობს მუშაობა.

საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობა - ქართული დელეგაციის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ნაყოფიერი თანამშრომლობა აქვს საქართველოს და ევროკავშირს საერთაშორისო ორგანიზაციებში. საქართველო მუდმივად განიხილავს ახალ შესაძლებლობებს სამომავლო თანამშრომლობისთვის. ევროკავშირის ყოველთვის ვოკალური მხარდამჭერია ევროპის საბჭოს გენერალური სამდივნოს ანგარიშებში და იმედია გაგრძელდება მომავალშიც. ევროკავშირის წევრი ქვეყნები აქტიური მხარდამჭერები არიან საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით. ევროპის საბჭოში საქართველოს პრეზიდენტობისას 6 თვიდან 2 თვე იყო კოვიდ-19-ის პანდემიის პერიოდი და საჭირო გახდა აქტივობების მორგება, ისევე როგორც ახალი სამუშაო მეთოდების შემუშავება. არ გაჩერებულა მინისტრთა კომიტეტის სამუშაო პროცესი. ერთობლივი დეკლარაცია იქნა მიღებული ადამიანის უფლებებისა და გარემოს დაცვის თემაზე, რაც განსაკუთრებით საამაყოა. მიღებული იქნა ახალი სტრატეგია 2030-სთვის, რაც ასევე მნიშვნელოვანი დოკუმენტია. ცოტა ხნის წინ რეზოლუცია იქნა მიღებული გაეროში ჟენევაში საქართველოზე და ძალიან მადლობელია საქართველო ევროკავშირის წევრი ქვეყნების მხარდაჭერისთვის. მნიშვნელოვანია ასევე მეორე რეზოლუცია გაეროს გენერალურ ასამბლეაზე, რომელიც შეეხება იძულებით გადაადგილებული პირებისა და ლტოლვილების საკითხს, ევროკავშირის წევრი ქვეყნები ძალიან მხარს გვიჭერენ, მხოლოდ კვიპროსი პერიოდულად არ ესწრება განხილვებს. ევროკავშირის თანადგომის იმედი აქვს საქართველოს კვიპროსის მხარდაჭერის მოსაპოვებლად, ვინაიდან კვიპროსი ასევე მხარს უჭერს გაეროში ჟენევაში მიღებულ რეზოლუციას. საქართველო-ევროკავშირის დიალოგი ეუთოს ფარგლებში ასევე აღსანიშნავია, ვინაიდან საშუალებას იძლევა ერთობლივი პოზიცია იქნას შემუშავებული რიგ საკითხებზე.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლის განმარტებით, საქართველო აგრძელებს თანამშრომლობას სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან (ICC) და სრულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოში ICC-ს ოფისისთვის, რათა ეფექტურად შეძლონ საკუთარი საქმიანობის განხორციელება. ამასთანავე, ამჟამად ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს 3 საქმე მიმდინარეობს რუსეთის წინააღმდეგ, მათ შორის ერთ-ერთი 2006 წელს ქართველების დეპორტაციის შესახებ რუსეთიდან, რომლისთვისაც რუსეთს დაეკისრა 10 მილიონი კომპენსაციის გადახდა, თუმცა გადაწყვეტილების აღსრულებაზე უარს ამბობს. ამ საკითხზე ევროკავშირის ქვეყნების დახმარება და მხარდაჭერა ძალიან სასარგებლო იქნებოდა მინისტრთა კომიტეტში, რათა საქმემ წინ წაიწიოს. ქართული დელეგაციის ხელმძღვანელმა ასევე ხაზი გაუსვა საქართველოს მონაწილეობას და ჩართულობას ევროკავშირის GHRS ინიციატივაში, რომელშიც 2 წელია მონაწილეობს. საქართველო აქტიურად არის ჩართული და მოხარულია სამომავლოდ განაგრძოს წვლილის შეტანა. ევროკავშირის მხარის განმარტებით ბრწყინვალე თანამშრომლობაა საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაეროში, ეუთოში და ევროპის საბჭოში.

დღის წესრიგის სხვა საკითხების ნაწილში ევროკავშირის მხარე დაინტერესდა აფგან მუხთარლის საქმით, რომელზეც მთავარი პროკურატურის წარმომადგენელმა საპასუხოდ აღნიშნა, რომ ბატონი მუხთარლი ამჟამად იმყოფება გერმანიაში, ევროპის საბჭოს ერთობლივი დახმარების ფორმატით მიმდინარეობს თანამშრომლობა გერმანელ კოლეგებთან, რათა მათ მიერ იქნას აფგან მუხთარლი დაკითხული.

შეხვედრის დასასრულს ევროკავშირის მხარემ ხაზი გაუსვა ადამიანის უფლებების სფეროში დიალოგის მნიშვნელობას. დიდი იმედი გამოთქვა, რომ დიალოგი გაგრძელდება მომდევნო წლებში და არა მხოლოდ წლიური დიალოგი იქნება, არამედ ადამიანის უფლებებზე ორივე მხრიდან კოლგები კიდევ უფრო მჭიდროდ ითანამშრომლებენ, რათა დიალოგი რეალურად მთელი წელი უწყვეტად მიმდინარეობდეს. ევროკავშირის მხარემ ხაზი გაუსვა, რომ აქტიურად ადევნებს თვალს მომავალ საპარალამენტო არჩევნებს. დამატებით მხარემ იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს მიერ გაწეული დიდი რაოდენობით შრომა შედეგს გამოიღებს და ჩატარდება სანდო, სამართლიანი არჩევნები.

საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საქართველო-ევროკავშირის დიალოგი ადამიანის უფლებების საკითხებში მუდამ არის შედეგიანი და ძალიან ინფორმაციული. ინოვაციურ განვითარებას ქონდა ადგილი 2020 წლის დიალოგში, სადაც სახალხო დამცველის წარმომადგენელი დღის წესრიგის თითოეულ საკითხს აკომენტარებდა, წარმოაჩენდა ომბუდსმენის ხედვას და შენიშვნებს, რაც ძალიან საინტერესოა. ქართულმა მხარემ ხაზი გაუსვა, რომ გაგრძელდება თანამშრომლობა ყოველთვიურ და ყოველკვირეულ რეჟიმში ადამიანის უფლებების საკითხებში.